

საოკუპაციო ხაზთან მცხოვრები მოსახლეობის პრობლემები

(განმუხური, ხურჩა, ორსანტია, რუხი, ფოცხო-ეწერის დევნილთა ჩასახლება, მუჟავისა და ფახულანის თემი)

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა 2021 წლის აგვისტოში საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლებში არსებული ვითარება შეისწავლა. საოკუპაციო ხაზთან მცხოვრები მოსახლეობის პრობლემების შესწავლის მიზნით წალენჯიხისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტების სოფლები: განმუხური, ხურჩა, ორსანტია, რუხი, მუჟავის თემი, ფახულანის თემი და ფოცხო-ეწერის დევნილთა ჩასახლება მოვინახულეთ.

ვიზიტმა დაგვარწმუნა, რომ ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლება სათანადო ყურადღებას არ უთმობს საოკუპაციო ხაზთან არსებულ სოფლებში სოციალურ-ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული პრობლემებს. ამკარაა, რომ საოკუპაციო ზოლის განაპირა სოფლებში ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენციები და პასუხისმგებლობები აღრეულია. მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვა მათი იზოლაციის, ცალკეულ შემთხვევაში - უფლებების უგულვებელყოფის და შიშის დანერგვის ხარჯზეა „უზრუნველყოფილი“. დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი მიიჩნევს, რომ იზოლაცია აზიანებს საოკუპაციო ხაზთან მცხოვრებ ადამიანებს, ლახავს მათ უფლებებს და ართმევს თავისუფალი განვითარების შესაძლებლობას. მოსახლეობის იზოლირების ასეთი მაღალი ხარისხი ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ საოკუპაციო ხაზთან არსებული სოფლებს ფორმალურად ცენტრალური ხელისუფლება (შსს-ს და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელით) აკონტროლებს, თუმცა, საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის ინტერესებს საოკუპაციო რეჟიმიც ზღუდავს.

განმუხური

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის განმუხურის ადმინისტრაციული ერთეული ქალაქიდან 25-კმ-ითაა დაშორებული. სოფელში 600-ზე მეტი კომლია და 1 300 მოსახლე ცხოვრობს. ე.წ. საზღვარი გალის რაიონის სოფელ ფიჩორსა და განმუხურს შორის გადის. სოფლებს შორის არსებული „გადასასვლელი პუნქტი“ 2017 წლის მარტიდან აღარ ფუნქციონირებს. „საზღვრის“ უშუალო სიახლოვეს მცხოვრები სამი ოჯახის კარ-მიდამოს ნაწილი ცენტრალური ხელისუფლების კონტროლის ქვეშ, ნაწილი კი ოკუპირებულ ტერიტორიაზეა მოქცეული. განმუხურში ადამიანებს შიშსა და ორმხრივ კონტროლში უწყვეტ ცხოვრება. ქართული მხარე რუსების და აფხაზების ზედამხედველობას შორიდან აკვირდება. ე.წ. საზღვართან მაცხოვრებლები გარეშე პირებთან კომუნიკაციას ერიდებიან, თითოეულ სიტყვას უფიქრდებიან, შიშით, თავშეკავებით, ნეიტრალურად გესაუბრებიან. „თქვენი წასვლიდან

ნახევარ საათში მოვლენ რუსები, გვკითხავენ, ვინ იყავით და რაზე ვისაუბრეთ..“ - გვითხრა ერთ-ერთმა ადგილობრივმა.



შეხვედრა ადგილობრივ მაცხოვრებლებთან, განმუხური

ისინი, ვინც „საზღვრის“ მეორე მხარეს დარჩნენ, ცენტრალური ხელისუფლების კონტროლირებად ტერიტორიაზე მოსახვედრად, საკარმიდამო ბაღებიდან იპარებიან. „რუსები წიწილებივით გვთვლიან“ - ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქცეული ეზოდან შემოგვჩივლა გ.ა.-მ.¹ „თუ რამე სჭირდებათ, ეზოში შევუგდებთ ხოლმე“ - ასე ეხმარებიან განმუხურელები ფიჩორელებს.

ტერიტორიაზე ჩვენს ყოფნას, ფოტოების გადაღებას და მოსახლეობასთან საუბარს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის და შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთობლივი ინფორმირება/ნებართვა დასჭირდა. უშუალოდ საოკუპაციო ზოლის გასწვრივ, თბილისის კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობასთან საუბარი მხოლოდ უსაფრთხოების სამსახურის თანხმობის შემდგომ მოვახერხეთ. ყველა ე.წ. სასაზღვრო სოფელში შესასვლელად მსგავსი კონტროლის გავლაა საჭირო.



¹ ინიციალები რესპონდენტის უსაფრთხოების მიზნით შეცვლილია.

ღობე, რომელიც ე.წ. საზღვარია, განმუხური

განმუხურში გადაადგილების თავისუფლების და გადამეტებული კონტროლის გარდა, ადგილობრივებს არაერთი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა აწუხებთ; მოუგვარებელია სასმელი წყლის მიწოდებისა და სანიაღვრე არხების საკითხი, უმუშევრობამ და ეკონომიკურმა სიდუხჭირემ დასახლება ახალგაზრდებისგან დაცალა. ადგილობრივები კომუნალური და სხვა სახის შეღავათების არარსებობაზე მიუთითებენ. მიუხედავად ყოველწლიური დაპირებისა, სოფლის შიდა გზები დღემდე მოუწესრიგებელია.

როგორც გვითხრეს, რუსი სამხედროები, რომლებიც სოფლის საზღვრიდან 200 მეტრში დგანან, ტერიტორიასა და მოსახლეობას ძალებით აკონტროლებენ. ადგილობრივთა თქმით, ცენტრალურმა ხელისუფლებამ ორი წელია გაამკაცრა თბილისის კონტროლირებად ტერიტორიაზე გადაადგილება, შსს და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური სათითაოდ ამოწმებენ საზღვართან მიმსვლელ ყველა პირს.



ე.წ. საზღვარი სოფელ განმუხურში

მიუხედავად იმისა, რომ განმუხურის გამგეობის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, სოფელში 600 კომლი ირიცხება, რეალურად, მუნიციპალიტეტში 80 ოჯახი ცხოვრობს. მოსახლეობის დიდი ნაწილი თბილისში, ფოთში ან საზღვარგარეთ არის წასული. ადგილობრივები მათ ბუნებრივ გარემოში ვერ ცხოვრობენ და ეკონომიკურ დოვლათს ვერ ქმნიან. განმუხურის მოსახლეობის 1/3 აფხაზეთიდან მოწოდებული ელექტროენერგიით სარგებლობს, რაშიც, რეალური ხარჯის მიუხედავად, თვეში ფიქსირებულ 20 ლარს იხდიან.

ანაკლია-განმუხურის დამაკავშირებელი 9 კილომეტრიანი გზიდან, მხოლოდ 2 კილომეტრი შეკეთდა. გზის სრულად რეაბილიტაცია დაეხმარება სოფელს, მარტივად დაუკავშირდეს ანაკლიის ტურისტულ ზონას.

სხვა „საზღვრისპირა“ სოფლების მსგავსად, განმუხურსაც აქვს ინტერნეტთან წვდომის პრობლემა. ადგილობრივების განცხადებით, არსებობდა ანაკლია-განმუხურის მაგთის ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტით დაფარვის გეგმა, თუმცა მოგვიანებით, პროექტიდან განმუხური „ამოვარდა.“ ინტერნეტთან ხელმისაწვდომობის სირთულეებმა სკოლის მოსწავლეებისთვის მნიშვნელოვნად შეაფერხა დისტანციური სწავლის პროცესი. ადგილობრივებმა გულისტკივილით აღნიშნეს, რომ 2020 წლიდან სახელმწიფომ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გადასახადის სუბსიდირება შეუწყვიტა სტუდენტებს ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებიდან, ამ პრივილეგიით „ბოროტად სარგებლობის გამო,“ რამაც არაერთი სტუდენტი სწავლის შეწყვეტის რისკის წინაშე დააყენა.

ხურჩა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ხურჩაში 160 კომლი (535 ადამიანი) ცხოვრობს. 2017 წლამდე აფხაზეთ-სამეგრელოს ე.წ. საოკუპაციო ხაზთან ოთხი გამშვები პუნქტი ფუნქციონირებდა. მათ შორის, ერთ-ერთი ხურჩა-ნაბაკევის გადასასვლელი იყო. პირობით საზღვარს ყოველდღიურად ასობით ადამიანი კვეთდა, რაც სოფელს ეკონომიკურად აქტიურ ზონად აქცევდა. 2017 წლიდან გამშვები პუნქტის ჩაკეტვამ სოფელი პრაქტიკულად იზოლაციაში მოაქცია და გააჩერა. დაიხურა ადგილობრივი მცირე ბიზნესები, კაფე და სწრაფი კვების ობიექტი; უმუშევრად დარჩნენ ტაქსის მძღოლები. შედეგად, უმუშევრად დარჩენილ მოსახლეობას უპერსპექტივობის განცდა აქვს. სოფელში რამდენიმე წელია დგას ამბულატორიის შენობა, რომელიც 2020 წელს უნდა გახსნილიყო, თუმცა დღემდე დაკეტილია. როგორც ადგილობრივებმა გვითხრეს, უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების გამო, ახლადგარემონტებულ შენობაში იატაკი უკვე დაზიანებულია. ინტერნეტის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული პრობლემის გამო, მოსახლეობა ვაქცინაციისთვის რეგისტრაციას ვერ ახერხებს. და როგორც გვითხრეს, აცრაზე ჩასაწერადაც, უკიდურესად უჭირთ ცხელ ხაზთან დაკავშირებაც.



ხურჩა-ნაბაკევის გადასასვლელი

ხურჩას წლების მანძილზე ყველაზე ძველი და ამორტიზებული მუნიციპალური ტრანსპორტი ემსახურებოდა. ნახევრად ხუმრობით, სოფელს „ავტობუსების სასაფლაოსაც“ ემახდნენ. აღმოჩნდა, რომ წელს მდგომარეობა უკეთესობისკენ შეიცვალა და სოფელში ახალი ავტობუსი მოძრაობს, თუმცა თავისი „პირობებით“ - ავტობუსი არ დაიძვრება, თუ მგზავრებს სამ

ტომარაზე მეტი პროდუქტები აქვთ. სოფლის მაცხოვრებლებისთვის, რომლებიც ზუგდიდში ძირითადად საკვების მარაგის ჩამოსატანად დადიან, ეს „ლიმიტი“ ძალიან მცირეა.



„ავტობუსების სასაფლაო“, სოფელი ხურჩა

როგორც ხურჩაში გვითხრეს, თავს ახლა უფრო მეტად გრძნობენ სახელმწიფოსგან მიტოვებულად და დაუცველად, ვიდრე აქამდე. 2021 წლის 18 იანვარს ხურჩადან რუსმა ოკუპანტებმა საქართველოს სამი მოქალაქე გაიტაცეს, რამაც იქ მცხოვრებლებს დაუცველობის შეგრძნება გაუძაფრა.

ფახულანი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ფახულანში დაახლოებით 275 ადამიანი ცხოვრობს. ფახულანს გალის რაიონის სოფელი საბერიო ესაზღვრება. ე.წ. „საკონტროლო-გამშვები პუნქტი“ საბერიო-ფახულანის ადმინისტრაციულ საზღვარზე მდებარეობს. ფახულანში შესვლის წინ, ადგილობრივი პოლიცია პირადობის მოწმობებს ამოწმებს და სოფელში გადაადგილების მიზეზს კითხულობს. თუმცა, ეს საკმარისი არ არის. სოფელში ჩვენი ვიზიტის მიზეზის დამატებით დაზუსტება სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელმაც სცადა. სოფლის მაცხოვრებლების განცხადებით, ისინი მუდმივი შიშის და დაუცველობის განცდით ცხოვრობენ. საგუშაგოსთან საბერიოს მკვიდრს გავესაუბრეთ, რომელიც ფახულანის ტერიტორიაზე, გამშვებ პუნქტთან ოჯახის წევრს ელოდა. თუმცა საუბარი აფხაზმა „მესაზღვრებმა“ შეგვაწყვეტინეს. საბერიოს მკვიდრს მეგრულად მიუთითეს, ოჯახის წევრებს „საზღვრის“ მეორე მხარეს, საგუშაგოზე მოწყობილ სპეციალურ მოსაცდელში დალოდებოდა.



ე.წ. „საკონტროლო-გამშვები პუნქტი“ სოფელ საბერიოში

ორსანტია

სოფელი ორსანტია ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მდებარეობს. სოფელში 2017 წლამდე ფუნქციონირებდა ორსანტია-ოტობაიას გადასასვლელი, რომელიც ახლა დაკეტილია. ორსანტიაში 594 კომლი (2 052 ადამიანი) ცხოვრობს. მაცხოვრებლები ძირითად პრობლემად სასმელი წყალის მიწოდებას, სანიაღვრე არხების და შიდა გზების მოუწყვსრიგებლობას ასახელებენ.



ორსანტია

მუჟავას თემი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტში მდებარე მუჟავას თემის სოფლები (მუჟავა, ოლორი, ნაშამგუ) ენგურჰესის გვირაბთან მდებარეობს. თემში 200 კომლი (719 ადამიანი) ცხოვრობს. სოფლებს სასმელი წყალის და მოუწყვსრიგებელი შიდა გზების პრობლემა აწუხებს. თემის სოფლებს მაღალმთიანი დასახლების სტატუსი არ აქვთ, შესაბამისად, „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შეღავათებით ვერ სარგებლობენ. სოფელ ოლორს არ ემსახურება მუნიციპალური ტრანსპორტი. ძველი გაყვანილობის გამო, ელექტროენერჯის მიწოდება არასტაბილურია. სოფელში არ დგას ნაგვის

ურნები. უტრანსპორტობის გამო ოლორის მოსახლეობა აცრას ვერ ახერხებს. როგორც გვითხრეს, უნდათ, რომ ვაქცინაცია სოფლად მაცხოვრებლებისთვის უფრო ხელმისაწვდომი იყოს.

ფოცხო-ეწერის დევნილთა დასახლება

ფოცხო-ეწერის დევნილთა დასახლება წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, ჭალეს ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარეობს. ჩასახლება გარე სამყაროს სრულად მოწყვეტილია. დევნილებს უმძიმეს პირობებში უწევთ ცხოვრება, სადაც ადამიანის სათანადო საცხოვრებელის უფლება უგულვებელყოფილია. ფოცხო-ეწერი მუნიციპალიტეტის ცენტრიდან 22 კილომეტრში მდებარეობს. დასახლებამდე მისასვლელი გზა უკიდურესად დაზიანებულია. დასახლებას არ ემსახურება მუნიციპალური ტრანსპორტი. კერძო პირის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალება წალენჯიხაში კვირაში სამჯერ დადის, ისიც, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მგზავრების საკმარისი რაოდენობა შეგროვდება. მგზავრობის საფასური 3,5 ლარია, რაც უკიდურესად შეჭირვებული დევნილებისთვის რთული გადასახდელია.



დაზიანებული გზა, ფოცხო-ეწერის დევნილთა დასახლება

დასახლებას სჭირდება სასმელი წყლის ავზის რეაბილიტაცია, წყლის მილების შექმნა და გარე განათების დამონტაჟება. სავალალო მდგომარეობაშია სანიაღვრე არხები და შიდა გზები. დევნილებს სასოფლო-სამეურნეო მიწები საკუთრებაში არ აქვთ გადაცემული, შესაბამისად, შინამეურნეობას ვერ ეწევიან. დასახლებაში მდგარი შენობები და სახლები ამორტიზებულია, კანალიზაცია ეზოებში მოედინება. სასმელი წყალი გრაფიკით მიეწოდებათ. სამართლებრივ მოწესრიგებას სჭირდება სახლების რეგისტრაცია/დაკანონება.



სარეაბილიტაციო სახლები, ფოცხო-ეწერის დევნილთა დასახლება

ფოცხო-ეწერის დასახლება საბჭოთა პერიოდში ენგურჰესის მშენებლობაზე დასაქმებულებისთვის აშენდა. კაშხალი დასახლებიდან რამდენიმე ასეულ მეტრში მდებარეობს. ფოცხო-ეწერში ამჟამად, ადგილობრივ მაცხოვრებლებთან ერთად, აფხაზეთიდან დევნილი 80-მდე ოჯახი ცხოვრობს, მათ შორის, თბილისიდან, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული შენობებიდან გამოსახლებული დევნილები. 2010 წელს ფოცხო-ეწერში თბილისიდან 18 ოჯახი გადმოსახლეს, თუმცა, დასახლებაში არსებული გაუსაძლისი პირობების გამო, თითქმის ყველა ოჯახმა ტერიტორია უკვე დატოვა.



საცხოვრებელი სახლები, ფოცხო-ეწერის დევნილთა დასახლება

რადგან დასახლება ენგურჰესის ე.წ. წითელ ზონაში მდებარეობს, ფოცხო-ეწერის მაცხოვრებლები 2007 წლამდე ელექტროენერგიას უფასოდ იღებდნენ. 2007 წლიდან ეს შეღავათი ყველა ოჯახს გაუუქმდა. დასახლებაში არ არის შეყვანილი ბუნებრივი აირი. დევნილები სუსხიან ზამთარში შეშით თბებიან. ჩასახლებაში თვალშისაცემია საარსებო წყაროების სიმწირე, სახელმწიფო სერვისებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა და უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელი.



ფოცხო-ეწერის დევილთა დასახლება

ფოცხო-ეწერის ჩასახლებაში მცხოვრებ დევილ 10 წლის ბავშვს გლაუკომის დიაგნოზი აქვს. სახელმწიფო ოჯახს მკურნალობისთვის აუცილებელ მედიკამენტებს არ უფინანსებს.

ენგურის ხიდი

აფხაზეთში მიმავალთათვის პრობლემა ტრანსპორტის სიმცირე და რთულად ხელმისაწვდომობაა. ჩვენს თვალწინ, ათობით ხელბარგით მძიმედ დატვირთული ადამიანი (ძირითადად, ქალები) იმის გამო, რომ ოკუპირებული აფხაზეთისკენ მიმავალ სამარშრუტო ტაქსში თავისუფალი ადგილი აღარ დარჩა, ხიდს ფეხით გაუყვავა. ენგურის ხიდით სარგებლობა უწევთ გალის მაცხოვრებლებს, რომლებიც ხიდიდან 5, 10 და 25 კილომეტრის მოშორებით ცხოვრობენ, თუმცა იმის გამო, რომ ყველა დანარჩენი გამშვები პუნქტი დაკეტილია (ფახულანის გარდა), სხვა ალტერნატივა არ აქვთ. ადგილობრივები, ცენტრალური ხელისუფლების კონტროლირებად ტერიტორიაზე ძირითადად სავაჭროდ გადმოდიან. არ ფუნქციონირებს ე.წ. თავისუფალი ეკონომიკური ზონა, რომელიც აფხაზეთის მკვიდრთათვის თბილისის კონტროლირებად ტერიტორიაზე ვაჭრობის გამარტივებისთვის აშენდა (რაც მხარეებს შორის ურთიერთობის გაღრმავებას შეუწყობდა ხელს), მაღაზიები დაკეტილი და მიტოვებულია.



ენგურის ხიდი

უნდა აღინიშნოს, რომ საზღვართან ახლოს მდებარე რუხის კლინიკა აქტიურად იღებს პაციენტებს. ენგურის ხიდზე მიმოსვლის აღდგენამ მნიშვნელოვნად შეამსუბუქა

ოკუპირებულ აფხაზეთში მცხოვრები ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის მდგომარეობა. დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტს მიაჩნია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გააქტიუროს მუშაობა, რათა აფხაზეთი-სამეგრელოს ე.წ. გამშვები პუნქტების ფუნქციონირება სულ მცირე, 2017 წლის მდგომარეობის დონეზე მაინც აღდგეს.

